# *ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 297*
## *(გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრის დაცვით)*

*ქ. მარნეული* *„25“ „დეკემბერი“ 2020 წელი*

*მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი* ***მერის მოვალეობის შემსრულებლის ლაშა ლობჯანიძის*** *სახით, და,* ***შ.პ.ს. „აგროსისტემები“ ,*** *შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორის უფლებამოსილი პირის* ***შახინ ბალაქიშიევის (პ/ნ 28001027979)*** *სახით ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:*

### *1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები*

*ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:*

*1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.*

*1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.*

*1.3. „შემსყიდველი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.*

*1.4. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.*

*1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.*

*1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.*

### *2. ხელშეკრულების საგანი*

***2.1 <u>მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსის 24.12.2020 წლის N-02-3220359180 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა დახმარების მიზნით 152 ტომარა (25კგ) ფქვილის ( CPV – 156 12100 - ხორბლის ფქვილი) შესყიდვა.</u>***

### *3. ხელშეკრულების ღირებულება*

*3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს* ***4 940 (ოთხიათასცხრაასორმოცი) ლარს.***

*3.2 მოსაწოდებელი საქონლის ერთეულის ღირებულება ინვოისის თანახმად შეადგენს: 1) ფქვილი - 152 * 32.5 = 4940 ლარი.*

*3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.*

*3.3. დაფინანსების წყარო –* ***2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.***

### *4. მხარეთა ვალდებულებები:*

*4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:*

***4.1.1.*** *უზრუნველყოს საქონლის მიწოდება* ***ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან 2020 წლის 30 დეკემბრამდე, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად. შემდეგ მისამართზე ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N-73.***

*4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე*

*4.1.3. დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;*

*4.1.4. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები*

*4.2. შემსყიდველი ვალდებულია:*

*4.2.1. უზრუნველყოს ინსპექტირების/კონტროლის განხორციელება;*

*4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.*

*5. გარანტია*

*5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული, არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინაღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა ან/და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.*

*6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება*

*6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ტექნიკური კონტროლი/ინსპექტირება ან/და გამოსცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.*

*6.2. ინსპექტირებას განახორციელებს **მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაშრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ემზარ პატაშური.***

*6.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, **წუნდებული საქონლის შეცვლა დაუყოვნებლივ.***

*7. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი*

*7.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება–ჩაბარების აქტის სახით. მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი პირის/პირების ხელმოწერით. ხელშეკრულების პირობების (ვადების, რაოდენობის, ხარისხის) და კონტროლის განმახორციელებლი პირის/პირების დადებითი დასკვნის შესაბამისად.*

*7.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილ პირს/პირებს წარმოადგენს წარმოადგენს **მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი ან/და მოვალეობის შემსრულებელი.***

*8. ანგარიშსწორება*

*8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში;*

*8.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.*

*8.3. ანგარიშსწორების ვადა – **მიღება–ჩაბარების აქტის (საქონლის მიღებიდან) 10 სამუშაო დღის განმავლობაში.***

*9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება*

*9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.*

*9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების ან/და სხვა გამომწვევი მიზეზის თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე–11 მუხლის შესაბამისად.*

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%–ის ოდენობით.

10.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 14. ფორს–მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს–მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისთვის ,,ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

**15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს **2021 წლის 25 თებერვლის ჩათვლით.**

**16. მხარეთა რეკვიზიტები**

**შემსყიდველი:**

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
საიდენტიფიკაციო კოდი: 234 232 149
მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N-73

საბანკო რეკვიზიტები:
მომსახურე ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკი/ბანკის კოდი: TRESGE22
ანგ. N.ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022

**მიმწოდებელი:**

შ.პ.ს. ,,აგროსისტემები"
საიდენტიფიკაციო კოდი: 203842342
მისამართი: ქ. მარნეული, იაღლუჯა საფ.ინდ: 3000
ტელეფონი: 593 515282
ელ. ფოსტა: r.babaeva@gmail.com
საბანკო რეკვიზიტები :
მომსახურე ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"
ბანკი/ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგ. N.ა. GE 41 BG 0000 0002 1829 1200

**მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მ.შ.:**

_____ ლ. ლობჯანიძე

MARNEULI MUNICIPALITY
Digitally signed by MARNEULI MUNICIPALITY
Date: 2020.12.25 15:34:37 +04'00'

**დირექტორი:**

_____ შ. ბალაქიშიევი

**მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები**

# შპს " აგროსისტემეი "

*ს/კ : 203842342*
გამყიდველი
მარნეული იაღლუჯა
ტელ; +995593515282
ბანკი : სს საქართველოს ბანკი
ანგარიში: GE41BG0000000218291200

თარიღი 24 დექემბერი 2020
ნომერი აგს -1

მყიდველი
*მარნეულის მუნიციფალითეთი*
ს/კ : 234232149
ქ. მარნეული რუსთაველის ქ # 73

| პროდუქციის დასახელება | | თანხა |
|---|---|---|
| ფქვილი 1/ხ 25 კგ - 152 ცალი | | 4 940,00 GEL |
| ( ოთხი ათას ცხრაას ორმოცი ლარი) | ლარი | 4 940,00 GEL |

დირექტორი : რანა ბაბაევა

შპს აგროსისტემები * საქართველო * GEORGIA * 203842342 * AGROSYSTEMS Ltd *

შპს აგროსისტემები
საქართველო, ქ. მარნეული, იაღლუჯა
ოფის: (+995) 357 22 63 83
მობ: (+995) 577 478 181
ელ-ფოსტა: r.babaeva@gmail.com; export@karmen.ge

LTD AGROSYSTEMS
Yagludzha, Marneuli, Georgia
Office: (+995) 357 22 63 83
Mob: (+995) 577 478 181
E-mail: r.babaeva@gmail.com; export@karmen.ge

№ 88 "25" "12" 2020 წ

# მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

შ.პ.ს. "აგროსისტემები"-ს (ს/კ 203842342) დირექტორი რ. ბაბაევი პ№ 28001010770 უფლებამოსილებას ანიჭებს თავის თანამშრომელს - შახინ ბალაქიშიევს, პ/№ 28001027979, ელექტრონულად ხელიმოაწეროს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების ხელშეკრულებაზე.

მინდობილობა ძალაშია თვის ბოლომდე.

შპს "აგროსისტემები"-ს
დირექტორი: რ. ბაბაევი

აგროსისტემები * საქართველო * GEORGIA * 203842342 * AGROSYSTEMS Ltd